


**როგორ** უნდა გადარჩეს პიროვნება? **რწმენა** უკვე დაიბუდა თქვენს გულში, რაკიღა გაგიჩნდათ ეს შეკითხვა. ჭეშმარიტი ბიბლიური გეგმა გადასარჩენად მოცემულია მოციქულთა მიერ, რომელნიც ცხოვრობდნენ ქრისტესთან ერთად და სწავლობდნენ მისგან, ხოლო იგი თავად იყო ღმერთის კრავი, რომელიც იღებს ქვეყნიერების ცოდვას. (იოანე 1:29) აი ეს გეგმაც:

(პირველი): აღიარე სიყვარული და გულმოწყალება ღმერთისა, რომელმაც შეგახსენა დაკარგული კაცთმოყვარეობა, იესო ქრისტეს ხელახალი შობით და თავგანწირული სიკვდილით. „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე." (იოანე 3:16). „ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არაა, არამედ ღვთის ნიჭია. არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხნოს," (ეფესელთა 2:8,9). ეს არის გულმოწყალება ღმერთისა, რომ თქვენ ოდესმე გააცნობიერეთ მადლი სიყვარულისა, ქადაგება ღმერთის სიყვარულზე და მის სამყაროზე, ან თუ ოდესმე გაჰყოლიხართ მის მცირე კვალს. ამდენად „...რწმენა-მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა -ქრისტეს სიტყვისაგან". (რომაელთა 10:17).

(მეორე): **რწმენა**. ეს რწმენის მეოხებითაა, რომ სული წმინდას მიჰყავხართ განჯისაკენ. თქვენ ვერასოდეს შეიმეცნებთ რელიგიურ დამაჯერებლობას, ვიდრე არ **ირწმუნებთ**:

ა) რომ თქვენ ხართ ცოდვილი „ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღმერთის დიდებას," (რომაელთა 3:23).

ბ) რომ თქვენ ვერ შეიცანით მინიშნება, თქვენი ცხოვრებისათვის შექმნილი ღმერთის გეგმისა, და „ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღმერთის მადლია მიქი -მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში," (რომაელთა 6:23).

გ) იესო ქრისტე არის უცოდველი, მხოლოდშობილი ძე ღმერთისი. „ვისაც ის სწამს, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის მხოლოდშობილი მის სახელი," (იოანე 3:18).

დ) რომ იესო იყო და არის კრავი ღმერთისა, „აჰა, ღმერთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას," (იოანე 1:29). ის იყო ღმერთის შეწირული სრულყოფილება, ჩვენი ცოდვებისათვის.

ე) რომ, მას უყვარდა მთელი ქვეყნიერების ადამიანები და ის დაიღუპა, რათა გადაერჩინა ცოდვების განკითხვისგან თვითოეული თქვენთაგანი, „რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი; არამედ გადარჩენილიყო მის მიერ," (იოანე 3:17).

ვ) რომ მან გაიღო ყოველივე, თავისი გულმოწყალებით და ყოველივე დასრულებულია. არ არსებობს ღირებულება, რომელსაც თქვენ გადაიხდით, თქვენ უძლური ხართ მოიმოქმედოთ რაიმე გადასარჩენად. „რაკი იცით, რომ არა ხრწნადი ვერცხლით ან ოქროთი იქენით გამოსყიდულნი, მამებისგან გადმოცემული ამაო გზიდან, არამედ ქრისტეს ძვირფასი სისხლით, როგორც უბიწო და უმანკო ტარიგისა," (1 პეტრე 1:18, 19). სანამ არ ირწმუნებ, რომ გჭირდება გამოხსნა და თავად კი უძლური ხარ იღონო რაიმე, მანამდე ვერ შეიგრძნობთ ღმერთის სულს.

პირველი ადამიანები, რომლებმაც იწამეს ქრისტეს ქადაგება მათი ცოდვების გამოსახსნელად, „...გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: „როგორ მოვიქცეთ, კაცნო, ძმანო?", (საქმეები 2:37). პასუხი მათ და თქვენს შეკითხვაზე დღეს, ერთი და იგივეა:

(მესამე) **„მოინანიეთ"** – შეგდებოდა? check "repent" (საქმეები 2:38).

ა) შეწუხდი, რომ ვერ შეიცანი ის და მისი გეგმა, თქვენი ცხოვრების გადასარჩენად.

ბ) მოიქეცით და გაერკვიეთ მოქცევის მნიშვნელობაში, რადგან იგია განმგებელი ყველა შენი ცხოვრებისეული დეტალების.

(მეოთხე): „...**მოინათლოს** იესო ქრისტეს სახელით ცოდვების "checking" (და ყოველი თქვენთაგანი მოინათლოს)..." როგორ? რა საშუალებითა და ავტორიტეტით? „...იესო ქრისტეს სახელით..." (საქმე 2:38). მონათვლა ეს არის დამარხვა იესო ქრისტესთან ერთად, წყალში დაფვლის მეშვეობით, ამრიგად თქვენ საცხოვრებლად აღმოცენდებით მასთან ერთად, როგორც ახალი ქმნილება და ყოველივე ძველი ჩავლილია. (თქვენი ძველი ნატურა მოკვდა და დაიმარხა წყალში დაფლვით) „ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით," (რომაელთა 6:3,4). „...და თქვენ"...

(მეხუთე) „...**მიიღებთ სულიწმინდის საჩუქარს**..." (საქმეები 2:38). ამრიგად თქვენ შეგეძლოთ შეცდომაში შეგეყვანათ ყველა ადამიანი, მაგრამ ღმერთის შეყვანა უმეცრებაში შეუძლებელია. როდესაც თქვენში დაიბუდებს ჭეშმარიტი **რწმენა** და შეიგრძნობთ სული წმინდის არსს, **მოინანიებთ** და **მოინათლებით** იესო ქრისტეში, არ დაიშურებთ საკუთარ თავს ღმერთისათვის // ჩაკლავთ საკუთარ ვნებათა ღელვას, მაშინ თქვენი გული ყველაზე მეტად აივსება მისი სიყვარულით, ის შეგაგრძნობთ თქვენ თავის სიწმინდესთან ერთად და გამცნობთ, რომ თქვენ იშვით მის სამეფოში. „ვინაიდან თქვენ გეკუთვნით აღთქმა, და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი ღმერთი ჩვენი", (საქმეები 2:39). როგორც ახალი ყრმა ქრისტეში, სული წმინდა თქვენ აგამეტყველებთ ჭეშმარიტების ენით, ისევე როგორც ახალშობილი ტირის, წარმოთქვამს და ჩაისუნთქავს ჰაერს დაბადებისთანავე. (იხილეთ საქმეები 10:44-46, საქმე 11:15,17, საქმე 19:6.) როდესაც ეს რიალურად მოხდება, თქვენ გაიგებთ ყოველივეს, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე და ახლოს იქნები ჭეშმარიტებასთან.

Apostolische Pfingstgemeinde Mannheim
Friedelsheimerstr. 18-20
68199 Mannheim / Germany
http://www.v-p-m.de